# სასოფლო გაზეთი

**მეორე წელიწადი**

გამოდის შაბათობით.

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 19. შაბათი. II. 11 ოკტომბერს 1869 წ.


შინაარსი:

ოფიციალური ნაწილი: ტფილისი, 13 ოკტომბერს.—ტყის კანონებიდგან გამოკრეფილი მუხლები.—არაოფიციალური ნაწილი: დასავლეთის საქართველოს სამღვდელოება და იმისი კეთილი განზრახვა თავიანთი შვილების გასანათლებელათ.—საოჯახო და სამეურნეო ამბები.—შინაგანი ამბები.—ლექსი: ნეტარ არს კაცი.

## ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

Тифлисъ, 13 октября.

Вѣроятно многимъ не извѣстно, что въ 17 верстахъ отъ Тифлиса—въ Лочино существуетъ сельско-хозяйственный практическій хуторъ, который современемъ безъ сомнѣнія принесетъ нашему краю не малую пользу. Хуторъ этотъ, составляющій частную собственность барона А. П. Николаи, находится въ арендномъ содержаніи у прусско-подданаго Густава Фивега.—Кавказское Общество Сельскаго Хозяйства, находя, что казенныя образцовыя фермы не приносятъ желаемой пользы, выбрало этотъ хуторъ для производства опытовъ введенія въ краѣ новыхъ культуръ и примѣненія улучшенныхъ земледѣльческихъ орудій, а также для практическаго обученія сельскому хозяйству молодыхъ людей изъ туземцевъ. Съ 1864 года Общество обязалось отпускать ежегодно, въ теченіе 10 лѣтъ, арендатору хутора Г. Фивегу извѣстную сумму денегъ; взамѣнъ этого Фивегъ, съ своей стороны, обязался въ теченіе вышеприведеннаго срока отпускать въ распоряженіе общества для безденежной раздачи или продажи извѣстное количество молодыхъ фруктовыхъ деревьевъ, виноградныхъ лозъ и др. культурныхъ растеній и, кромѣ того, онъ же обязанъ содержать и обучать практически сельскому хозяйству молодыхъ людей, принимаемыхъ на хуторъ.

Въ настоящее время всѣхъ учениковъ хутора 35; изъ нихъ 10 русскихъ, 11 грузинъ Тифлисской и Кутаисской губерній и 14 горцевъ. Срокъ обученія въ Лочинскомъ хуторѣ 4-хъ лѣтній.

Согласно условію въ прошломъ сентябрѣ совѣтомъ Общества произведено было частное испытаніе учениковъ хутора и при этомъ, по заключенію совѣта, оказались слѣдующіе результаты: всѣ вообще ученики достаточно приучены къ практическимъ сельско-хозяйственнымъ пріемамъ и удовлетворительно могутъ исполнять работы по полеводству, садоводству, лѣсоводству, уходу за домашнимъ скотомъ, шелководству и винодѣлію, съ словеснымъ при томъ объясненіемъ исполняемыхъ ими работъ. Кромѣ того всѣ они довольно удовлетворительно умѣютъ читать и писать по руски и знаютъ четыре правила ариѳметики.—На 28-ое число того же прошлаго мѣсяца былъ назначенъ публичный экзаменъ учениковъ въ Лочино. Мы имѣли случай присутствовать на этомъ первомъ выпускномъ экзаменѣ и убѣдились, что Совѣтъ Общества Сел. Хозяйства не ошибся въ своихъ заключеніяхъ; почти всѣ ученики и даже тѣ, которые поступили только недавно, показывали намъ наглядно въ полѣ способъ сѣять мелкія и крупныя сѣмена, умѣли сажать молодыя и взрослыя деревья, ухаживать за виноградными лозами, водить на полѣ усовершенствованный плугъ, снимать сливки, сбивать масло и проч. Въ особенности обратили наше вниманіе быстрота и ловкость учениковъ хутора; этому, кажется, немало содѣйствовало частое повтореніе г. Фивегомъ словъ „время—деньги“.—Затѣмъ присутствовавшихъ и учениковъ попросили въ зданіе хутора; здѣсь учениковъ заставляли читать поруски и спрашивали кое что изъ ариѳметики. Почти всѣ они читали довольно бойко и безъ ошибки производили дѣйствія надъ первыми четырьмя правилами ариѳметики.

Послѣ экзаменовъ г. Ситовскій прочелъ протоколъ засѣданія Общ. Сель. Хозяйства, 27 сент. этого года, на которомъ между прочимъ рѣшено было наградить сельско-хозяйственными книгами лучшихъ учениковъ хутора; изъ пяти воспитанниковъ, окончившихъ въ этомъ году курсъ ученія, двумъ: Матѳею Количавадзе и Георгію Бельдзешевскому были даны въ награду за прилежное занятіе ящики съ садовыми инструментами; а тремъ остальнымъ: Функу— ящикъ съ столярными инструментами и

Ивану Лемондже и Жондѣ Микадзе—карманные приборы также съ садовыми инструментами.—Послѣ роздачи наградъ священникъ Тифлисской Iерусалимской церкви о. Симоновъ произнесъ краткое слово, въ которомъ указалъ на важность сельскаго хозяйства вообще для развитія благосостоянія извѣстнаго народа и на пользу, приносимую въ частности нашему краю Кавказскимъ Обществомъ Сель. Хозяйства. Затѣмъ онъ обратился къ ученикамъ хутора и пожелалъ, чтобы они практическія свои познанія употребили на пользу свою и ближнимъ.

Въ замѣткѣ по поводу этихъ экзаменовъ въ Лочино, газ. „Кавказъ" припоминаетъ о прошлогоднемъ проэктѣ г. Ситовскаго—основать за Кавказомъ сельско-хозяйственное коммисіонерство и земледѣльческую школу.

Принимая во вниманіе то благодѣтельное вліяніе, какое можетъ произвести на улучшеніе хозяйства въ нашемъ краѣ учрежденіе земледѣльческой школы и сельско-хозяйственнаго коммисіонерства, мы отъ души желали бы, вмѣстѣ съ газетою „Кавказъ", чтобы въ возможно скорѣйшемъ времени было приступлено къ осуществленію вышепоименованнаго проэкта.

## ოფიციალური ნაწილი.

### ტფილისი, ოკტომბრის 13.

ჩვენში, მგონია, ბევრმა არ იცის, რომ შვიდმეტ ვერსზე ტფილისიდან—სოფ. ლოჭინში არის მეურნეობის საპრაქტიკო ხუტორი, რომელიც შემდეგში, უეჭველია, დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს მხარეს. ეს ხუტორი ეკუთვნის ბარონ ა. პ. ნიკოლაის, რომელმაც იჯარით მისცა ისა პრუსსიის ქვეშევრდომს გუსტავ შიევგსა. „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება" ჰხედავდა, რომ ს. ხელმწიფო სამაგალითო ბაღებს არ მოჰქონდა ჩვენ მხარესთვის ჯეროვანი სარგებლობა და ამის გამო გამოირჩია ეს ხუტორი ახალი სასარგებლო მცენარეებისა და პირუტყვების მოსაშენებლათ, სამეურნეო იარაღების ხმარების საჩვენებლათ და აგრეთვე იმისთვის რომ აქ ისწავლონ რიგიანათ მეურნეობა ჩვენებურმა ახალგაზრდებმა. 1864 წლიდან სამეურნეო საზოგადოება აძლევს ყოველ წელიწადს ხუტორის იჯარით ამღებს—შიევგს დანიშნულს ფულსა და ამის ნაცვლათ შიევგი ვალდებულია, თავის მხრით, აძლიოს საზოგადოებას გასასყიდლათ, ან უფასოთ დასარიგებლათ რამდენიმე ათასი ხეხილი, ვაზი და სხვა სასარგებლო ხეები, რომლებსაც ის აშენებს ამ ხუტორში; ამას გარდა შიევგმა უნდა ასწავლოს მეურნეობა და გამოზარდოს თავის ხარჯით ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები, რომლებიც ხუტორში შესვლას და სწავლას მოისურვებენ. ლოჭინის ხუტორის შაგირდები ოთხი წლის განმავლობაში ასრულებენ სწავლასა; აქ ამ ჟამათ 35 შაგირდია; ამათ რიცხვში 10 რუსია, 11 აქაური ქართლელ-იმერლები და 14 მთიელები.—

ამ პირობისა დაგვარათ წასრულს სეკტემბერში სამეურნეო საზოგადოების რჩევამ გამოსცადა ხუტორის შაგირდები და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა შაგირდებს რიგიანათ შეუძლიათ ასრულება ყანის და ბაღის მუშაობისა; ამას გარდა იმათ იციან პირუტყვების მოვლა და, აბრეშუმისა და ღვინის მოყვანა. შაგირდების უმეტესმა ნაწილმა იცის აგრეთვე რუსული წერა-კითხვა და, ცოტა ანგარიშიც.—

28 სეკტემბრისთვის იყო დანიშნული შაგირდების საერო ეგზამენი ლოჭინში. ჩვენ დავესწარით ამ პირველს ეგზამენზე და დავრწმუნდით, რომ ხუტორში უბრალოთ არ დაუკარგავთ დრო შაგირდებს; ისინი გამოიყვანეს მინდორში და აქ ამუშავეს; ყველამ იცისრა რიგათ უნდა თესვა მსხვილსა და წვრილს თესლსა, რა რიგათ უნდა დარგოს კაცმა ახალგაზდა და მოზდილი ხეები, როგორი მოვლა ჰჭირია ვენახსა; აგრეთვე თითქმის ყველა დახელოვნებულია ყვლისა და ერბოს კეთებაში.—უველაზე უფრო მიაქცია ჩვენი ყურადღება შაგირდების სისწრაფემ და მარჯვეთ მუშაობამ; ამას დიდათ ჰშველოდა, მგონია, ხშირი გამეორება შიევგისაგან სიტყვებისა, რომ „დრო—ფულიაო".

მეურნეობის ეგზამენის შემდეგ შაგირდები წაიყვანეს სადგომში და ზოგიერთებს წააკითხეს და დააწერინეს რუსული და არითმეტიკაც ჰკითხეს. თითქმის ყველა მარჯვეთ ჰკითხულობდა რუსულსა და არითმეტიკაშიაც არ იყვნენ სუსტად. მხოლოთ ზოგიერთმა მეგრელებმა კი უფრო სისუსტე გამოაჩინეს რუსულში.

ეგზამენების შემდეგ ტფილისის იერუსალიმის საყდრის მღვდელმა მ. სიმონოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აჩვენა „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების" კეთილი ზედმოქმედება აქაურს მეურნეობაზე და საზოგადოთ მმართებლობის ზრუნვა მხარის კეთილდღეობისათვის. შემდეგ მ. სიმონოვმა უთხრა რამდენიმე თანაგრძნობის სიტყვები თითონ შაგირდებს და მოისურვა, რომ ისინი შეიქნენ სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.—

უ. სიტოვსკიმ წაიკითხა პროტოკოლი „საზოგადოების" 27 სექტ. სხდომისა, რომელზედაც გადაეწყვიტათ: ღირს ყოფნა ნასწავლი მუშის წოდებისა ხუთი შაგირდისათვის, რომელთაც ოთხს წელიწადზე მეტი დაჰყვეს ლოჭინის ხუტორში: მათე ჴალიჩავაძის, გიორგი ბელდზეშევსკის, ფედორე ფუნკის, ივანე ლემონჯის და ჟონდა მიქაძის. ამ ხუთ შაგირდს კარგათ სწავლისა და მეცადინეობისათვის აჩუქეს კიდეც: ჴალიჩავაძეს და ბელდზეშევსკის ყუთი ბაღის იარაღებით, ფუნკს ყუთი დურგლის იარაღებით და ლემანჯასა და მიქაძეს ჯიბის ყუთი ბაღის იარაღებითვე;—ამათ გარდა, „კავკ. სამ. საზოგადოებამ" დაურიგა სამეურნეო წიგნები—საჩუქრებათ აგრეთვე სხვა ახალ-შემოსულ შაგირდებსაც.—

გაზ. „კავკაზი" ამ ეგზამენების გამო იხსენებს იმ შარშანდელს პროექტს, რომელიც შეადგინა უ. სიტოვსკიმ და რომლითაც უნდა დაარსებულიყო ჩვენში სამეურნეო შკოლა და კომმისიონერობა *).

ამ ნაირ შკოლას და კომმისიონერობას, უეჭველია, ძალიან კეთილი ზედმოქმედება ექნება ჩვენს მეურნეობაზე და აქედან ჩვენს ყოფაცხოვრებაზედაც. ღმერთმა ინებოს, რომ ეს საქმე მალე ასრულებულიყოს.

---

*) სამეურნეო კომმისიონერობა იმისთანა დაწესებაა, რომლის საშუალებით მსურველს შეუძლია დაიბაროს უცხო-ქვეყნებიდან სხვა და სხვა ახლათ შემოღებული სამეურნეო იარაღები, გამოსადეგი პირუტყვები, ხეები და თესლები; აგრეთვე შეუძლია მიიღოს ყველა ის ცნობები, რაც საჭიროა ყოველი მეოჯახესთვის.—

## ИЗВЛЕЧЕНІЕ ИЗЪ ЛѢСНЫХЪ ПОСТАНОВЛЕНІЙ.

### 1., *Безденежный отпускъ лѣса.*

Государственнымъ крестьянамъ Закавказскаго края, для удовлетворенія домашнихъ надобностей, отпускаются безденежно лѣсные матеріалы: дровяной, строевой, колья и жерди по смѣтѣ, утвержденной Намѣстникомъ, преимущественно изъ годнаго къ употребленію валежника и сухоподстойнаго лѣса, гдѣ таковой лѣсъ окажется. За неимѣніемъ кольевъ и жердей, или въ видахъ сбереженія приспѣвающаго строеваго лѣса, предоставляется крестьянамъ выдѣлывать колья изъ назначаемой имъ пропорціи дровянаго лѣса, а взамѣнъ жердей отпускаются строевыя деревья, считая одно строевое дерево, 3 сажени въ длину, 4 вершка въ толщину, за три жердя.

Если Государственные крестьяне, получивъ лѣсъ безденежно, употребятъ его не на надобности свои, а пустятъ въ продажу, то съ ними поступается какъ съ самовольными порубщиками. Крестьяне къ пользованію лѣсомъ допускаются по утвержденіи смѣтъ Намѣстникомъ и по полученіи для селенія лѣсорубочныхъ билетовъ, при чемъ ими уплачиваются только 10% сбора со всей стоимости лѣснаго матеріяла и то въ такомъ случаѣ, если они не согласятся очистить совершенно лѣсъ отъ лѣсныхъ остатковъ, при заготовленіи лѣснаго матеріала образующихся, какъ то: цепы, вершинъ, сучьевъ и т. под.

За тѣмъ ни какіе сборы не взымаются при отпускѣ лѣса на домашнія надобности.

Сверхъ удовлетворенія домашнихъ надобностей, Государственные крестьяне получаютъ безденежно лѣсъ тамъ, гдѣ состояніе лѣсовъ позволяетъ:

а) на устройство дорогъ, мостовъ, гатей, и бычевниковъ, содержаніе коихъ лежитъ на мѣстныхъ обывателяхъ (Государственныхъ крестьянъ), по смѣтамъ, утверждаемымъ Начальникомъ Губерніи; при этомъ лѣсъ отъ старыхъ мостовъ продается въ пользу лѣснаго дохода, или отпускается крестьянамъ въ счетъ годичнаго имъ отпуска;

б) на постройку сгорѣвшихъ домовъ; также получаютъ лѣсъ безденежно священно-церковно-служители православнаго исповѣданія;

в) на постройку хлѣбныхъ магазиновъ;

д) на топливо для лечебницъ;

г) для сельскихъ управленій и

ж) при переселеніяхъ изъ одной губерніи въ другую.—(ст. 620, 21, 22, 23 и 24 т. III л. уст).

### *Продажа казеннаго лѣса.*

При покупкѣ лѣса руководствоваться слѣдующими правилами:

Въ мѣстныхъ лѣсничествахъ находятся выписки изъ таксъ, утверждаемыхъ ежегодно Намѣстникомъ, гдѣ поименованы цѣнности на всѣ лѣсные матеріалы и произведенія. Покупщики, внесшіе по таксѣ узаконенныя пошлины, (какъ за матеріялъ, такъ и за не уборку вершинъ, сучьевъ и щепокъ), вслучаѣ нежеланія самимъ убрать вершины, сучья и т. под., получаютъ печатные билеты, гдѣ прописываются фамилія покупателя, количество лѣсныхъ матеріаловъ, внесенная цѣна и срокъ заготовки.

Продажа орѣховаго наплыва разрѣшается повсюду. На 1869 годъ установливается пошлина съ пуда по 65 коп. Покупщикъ обязывается при срѣзываніи наплывовъ не срубать деревья, а вырѣзы на нихъ задѣлывать, въ тѣхъ видахъ, чтобы дерево не подвергалось порчѣ. За срубленное же орѣховое дерево, или испорченное не аккуратною вырѣзкою наплыва, покупщикъ подлежитъ отвѣтственности, какъ за самовольную порубку или порчу, т. е. взысканію попенныхъ и штрафныхъ денегъ по таксѣ, сообразно размѣрамъ деревъ.

Рубка сырорастущаго лѣса производится отъ сентября до марта, исключая лѣса растущаго на трудно доступныхъ мѣстахъ, рубка котораго допускается во всякое время года.

Лѣсная стража, безъ явки порубщиками полученныхъ отъ лѣсничаго узаконенныхъ билетовъ, отнюдь не допускаетъ никого къ рубкѣ лѣса подъ личною отвѣтственностью.—

По письменнымъ билетамъ, за чьимъ бы они подписомъ ни были, лѣсная стража не позволяетъ рубить лѣсъ (ст. 739 т. VIII устав. лѣсн.).

Лѣсъ долженъ рубиться въ указанномъ лѣсничимъ участкѣ, въ опредѣленномъ въ билетѣ количествѣ; запрещается на мелкія подѣлки срубать крупныя деревья.—

Воспрещается заготовленіе въ лѣсу досокъ, кадокъ, лопатъ, ступицъ, корытъ и т. под. издѣлій, безъ вѣдома и позволенія лѣсничаго; въ случаѣ же самовольныхъ дѣйствій взыскиваются, по расчету употребленнаго на издѣлія лѣснаго матеріала, посаженныя деньги вдвое противъ таксы.

Воспрещается рубить на дрова растущій лѣсъ, годный на строенія и разныя издѣлія. Если таковая порубка случится, то она считается самовольною и съ порубщиковъ взыскиваются не посаженныя, какъ за дрова, а попенныя деньги, какъ за строевой и подѣлочный матеріалъ, по таксѣ вдвое.

Воспрещается перерубка бревенъ въ лѣсу на части до освидѣтельствованія и вывоза оныхъ изъ лѣса. За нарушеніе сего правила, считается каждый отрубокъ за цѣлое бревно тѣхъ размѣровъ, какія означены будутъ въ билетѣ; такъ напр: если по билету дозволено вырубить 10-ть бревенъ 3 саж. длины, а они перерублены пополамъ, то считать оказавшіеся отрубки за 20 бревенъ той же длины и взыскивать дополнительныя по таксѣ деньги, какъ за 10 лишнихъ бревенъ.

Порубщикамъ дозволяется обтесывать купленый ими строевой матеріалъ на мѣстѣ самой порубки, въ облегченіе вывоза изъ лѣса, съ тѣмъ однакожъ непремѣннымъ условіемъ, чтобы они верхній отрубокъ бревна на четверть въ длину оставляли не обтесаннымъ съ цѣльною корою, для того, чтобы лѣсничій могъ повѣрить настоящую толщину срубленныхъ деревъ.

За не соблюденіемъ сего правила считается толщина со всего отесаннаго бревна вдвое, и по числу вершковъ ея взыскиваются дополнительныя пошлины по таксѣ. Высчитываются попенныя деньги за деревья, вырубленныя длиною менѣе одной сажени, какъ

за цѣлую сажень; за деревья длиною въ 1 саж. и 3 вер., какъ за двѣ саж. и т. д., а равно и превышеніе размѣровъ, какъ за цѣлую сажень. Но откосы отрубковъ бревна, при измѣреніи длины его, несчитаются.

Рубка хвойнаго лѣса, за исключеніемъ Ахалцихскаго и Абастуманскаго лѣсничествъ, ни гдѣ не дозволяется. Вслучаѣ же самовольныхъ порубокъ взысканіе штрафныхъ производится, какъ за дубовый лѣсъ.

Строго воспрещается порубка и всякая порча деревъ тутовыхъ.

Выжигать угли, гнать деготь и вообще всякая операція, посредствомъ огня, дозволяется только на полянахъ, безопасныхъ отъ пожаровъ. Отъ каждой четверти угля, при заготовкѣ по билету, взыскивается по 25 коп., а при самовольной заготовкѣ, по 2 руб. съ четверти. (примѣчаніе къ смѣтѣ и таксамъ.)

Если лѣсопромышленникъ, купивъ не примѣрное, а опредѣленное количество лѣса, сдѣлаетъ перерубъ и не объявитъ о томъ лѣсничему, или хотя и объявитъ, но перерубъ составляетъ болѣе 10 на 100 по количеству, или по длинѣ и толщинѣ, то онъ подвергается отвѣтственности по закону, какъ за самовольную порубку. При добровольномъ объявленіи переруба и когда онъ не болѣе 10 на 100, выдается, со взысканіемъ дополнительныхъ денегъ, новый дополнительный билетъ (ст. 158 п. 3 уст. о наказ).

---

*Примѣчаніе.* Сельскія должностныя лица обязаны по приказу Лѣсничаго присутствовать при составленіи протоколовъ о наруменіяхъ лѣснаго устава и подписывать таковыя. За не исполненіе этаго требованія, виновные подвергаются отвѣтственности по закону.—

*Пастьба скота.*

Пастьба скота (въ дозволенныхъ случаяхъ) производится за установленную плату (по билету) за барановъ по одной коп. съ головы, а за свиней и крупный скотъ по 10 коп.; за самовольную же пастьбу скота полагается штрафъ—удвоенная плата. За пастьбу скота при прогонѣ черезъ казенныя и церковныя дачи взыскивается по 10 коп. съ 1000 головъ, какой бы скотъ ни былъ. На сѣнокосныхъ лѣсныхъ полянахъ, не отданныхъ въ оброчное содержаніе, пастьба вовсе запрещается и виновные подвергаются штрафу двойному взысканію положенной платы за пастьбу. Если пастьба при прогонѣ будетъ длиться, съ намѣреніемъ долѣе, чѣмъ было бы необходимо для того, чтобы прогнать скотъ черезъ дачу, или же будетъ производиться на полянахъ, оставленныхъ подъ зарощеніе лѣсомъ, то въ первомъ случаѣ взыскивается сабалахо, какъ за пастьбу, а во второмъ, по составленіи акта о поврежденіяхъ молодыхъ деревъ, кромѣ сабалахо, взыскивается и за поврежденія молодаго лѣса по оцѣнкѣ.

Пастьба безъ пастуховъ не дозволяется. Воспрещается рубить лѣсъ въ кормъ скоту; за порубку же для этаго дровянаго и кустарнаго лѣса взыскиваются съ порубщиковъ посаженныя, а за порчу и рубку строеваго и подѣлочнаго лѣса взыскиваются попенныя деньги по таксѣ вдвое.—

Воспрещается въ хвойныхъ лѣсахъ разводить огонь; въ лиственныхъ же лѣсахъ не слѣдуетъ раскладывать огня ни подъ какими стоящими деревями, а разводить его въ дозволенныхъ случаяхъ не ближе 2 саж. отъ этихъ деревъ.

Разведенный огонь не оставлять безъ затушенія; мѣстныя начальства и крестьяне, буде наидутъ гдѣ либо огонь въ лѣсахъ или на полянахъ, должны немедленно оный потушить (примѣч. къ смѣтѣ и таксамъ ст. 594 т. VIII Устав. Лѣснаго.)

---

## ტყის კანონებიდან გამოკრეფილი მუხლები.

### უფულოთ ტყის გამოტანა.

კავკასიის აქეთა მხრის სახელმწიფო გლეხებს თავიანთი საჭიროებისთვის ეძლევათ უფულოთ საშეშე, საშენებელი, სახარდნე და სალატნე ტყე იმ ანგარიშით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის ნამესტნიკისაგან. თუკი რომელსამე ტყეში სახმარად გამოსადეგი გამხმარი ხეები ძირიანათ დგანან ან წაქცეულნი არიან მაშინ ისინი მიეცემათ. სადაც სახარდნე და სალატნე ტყე არ არის, ან სადაც ახალი საშენებელი ტყის დაცვა ჰსურთ, იქ გლეხებს შეუძლიათ ხარდანი მოსჭრან იმ ტყის ნაწილიდან, რომელიც საშეშეთ არის დანიშნული [illegible]ტანის მაგივრათ იმათ მიეცემათ საფიცრე ხეები; ამ უკანასკნელს შემთხვევაში ერთი საფიცრე ხე, რომელიც სიგრძით სამი საჟენია და სისქით ოთხი გოჯი, ჩაითვლება სამ ლატნათ.—

თუ სახელმწიფო გლეხებმა სახელმწიფო ტყიდან უფულოთ გამოტანილი ხეები თავის საჭიროებისათვის არ მოიხმარეს, და გაჰყიდეს, მაშინ იმათ მოეპყრობიან ისე, როგორც ნება დაურთველათ ტყის ამჭრელს. გლეხები სარგებლობენ ტყით ნამესტნიკისაგან დამტკიცებული ანგარიშისამებრ იმდროდგან, როცა სოფელს მისცემენ ტყის საჭრელს ბილეთებს; ამ შემთხვევაში იმათ ახდევინებენ დამტკიცებული ფასის მეათედსა მხოლოდ მაშინ, როცა გლეხები არ გასწმენდენ ტყეს ხეების შტოებისაგან და უვარგისი ნაჭრებისაგან, რომელნიც ხის გათლის შემდეგ რჩება ხოლმე.—

თავის მოსახმარათ გამოტანილ ტყისათვის ამის მეტი სხვა არა გადახდებათრა.

საკუთარი საჭიროების გარდა, იქ სადაც ტყე ბევრია სახელმწიფო გლეხებს უფულოთ ეძლევათ ტყიდგან ყოველი გვარი მასალა: ა) ხიდების და ჭაობიანი გზების გასაკეთებლათ, სადაც ამაების გაკეთება სახელმწიფო გლეხების ვალია. ამ საჭიროებისათვის ტყე მიეცემათ გლეხებს იმ სმეტით, რომელიც გუბერნიის უფროსისაგან არის დამტკიცებული; ამ შემთხვევაში ძველი ხიდის ფიცრები უნდა გაიყიდოს და აღებული ფული ტყის შემოსავალს უნდა მიემატოს, ან და შეიძლება ძველი ხიდის ფიცრები მიეცეს წლის ანგარიშში თვითონ გლეხებსა.

ა) ტყე მიეცემათ უფულოთ დამწვარ სახლების ასაგებათ და აგრეთვე უფულოთ მიეცემათ ტყე სამღვდელო პირებსა.

ბ) პურის მაღაზიების ასაშენებლათ,

გ) საავათმყოფოებს მიეცემათ შეშა.

დ) სასოფლო სასამართლოებს და

ე) გლეხებს ერთი გუბერნიიდან მეორეში გადასახლების დროს. (სტ. 620, 21, 22, 23 და 24 ტომი VIII ტყის წესდება).

### სახელმწიფო ტყის გაყიდვამოხდება შემდეგი კანონების ძალით.

ტყის ზედამხედველის (ლესნიჩის) კანცელარიაში არის გამოწერილი მუხლები იმა ტაქციიდგან, რომელიც დამტკიცდება ხოლმე ყოველ წლობით კავკასიის ნამესტნიკისაგან და

ოძმელშიაც ნაჩვენებია ყველა გვარი ტყის სალების და ნაწარმოების ფასი. ტყის მყიველს, რომელმანც შეიტანა ბაჟი ტყის მასაზე და ხეების გათლის შემდეგ. ტყის გაუენდელობისთვის ეძლევა დაბეჭდილი ბიეთი, სადაც ჩაწერილია მყიდველის გვარი სახელი, ისიცა, თუ რამდენი ტყის მასალა ყიდნია, რა ფასათ და რამდენ ხანში უნდა ამზადოს და გამოიტანოს ნაყიდი ტყე.

ნიგვზის კუნძის გამოტანა ყოველ სახელმწიო ტყიდგან შეიძლება. ამ წლისთვის კუნძის უთზე ცამეტი შაური ბაჟია დანიშნული; იდეველი ვალდებულია კუნძის მოჭრის დროს მოჭრას თითონ კაკალიცა და მოჭრილი ოაგი ისე უნდა გააკეთოს, რომ კაკალი არ ხდეს. ჟაკლის მომჭრელი, ან გამფუჭებელი სუხს აგებს ისე, როგორც ნება დაურთვეათ ტყის ამჭრელი, ე. ი. იმას გადახდება თითო ხის ძირზე იმ ტაქციით, როგორც ხის ოდიდეს ეკუთვნის.

ნედლი ტყის მოჭრა შეიძლება ენკენისთვიან მარტამდინ; თუ ტყე ცუდ მისადგომ ადგილზეა, იმის მოჭრა ყოველთვის შეიძლება.

ტყის მცველებმა უბილეთოთ არავის არ ნდა მისცენ ნება ტყის მოჭრისა; წინააღდეგ შემთხვევაში ის თვითონ აგებს ამ საქმეში პასუხსა.—

ხელნაწერი ბილეთით ტყის მცველმა არაის და არას დროს არ უნდა მოაჭრევინოს ყე. (მუხ. 739, ტ. VIII ტყის წესდება).

ტყე უნდა მოიჭრას იქ, საცა ტყის ზედამხეველისაგან (ლესნიჩისაგან) არის დანიშნული ა იმდენი, რამდენიც ბილეთია დაწერილი; ოტა დაჭირებისთვის აკრძალულია მსხვილი ეების მოჭრა.—

აღკრძალულია ლესნიჩის უკითხავათ ტყეი ფიცრების, გობების, ნიჩფების, კოდების და ხვა ამისთანაების გაკეთება; ვინც დაუკითხაათ ამას მოიქმედებს, იმას გარდახდება საჟეობით ორი იმოდენი ტყის ფასი ტაქციით, რაც ოუხმარია.

აღკრძალულია საშეშეთ იმისთანა ახალი ტყის აჭრა, რომელიც გამოსადეგია საშენებოთ, ან რომელიმე ხელობისთვის. ვინც ამ კანონის წინაამდეგ მოიქცევა, იმას გარდადება თითო ძირი ხის ფასი ტაქსით ორი მდენი, რამდენისაც მოუხმარია.

აღკრძალულია ძელების დაჭრა ნაწილ-ნაწილებათ და ისე ტყიდან გამოზიდვა სანამ ლესნიჩს ან ტყის მცველს არ დაუმოწმებია ისინი. ამ კანონის დამრღვევს თითო ნაჭერზე გარდახდება მთელი ხის ფასი; მაგალითათ ვთქვათ, ბილეთით ვისმე აქვს ნება ათი სამსაჟენიანი ძელის მოჭრისა; თუ ისინი გარდაჭრა იმან შუაში, მაშინ ნაჭრები ოც ძელათ ითვლება და ამნაირათ ტყის მომჭრელს გარდახდება კიდევ მომატებული ათი ძელის ფასი.

მომჭრელს შეუძლია ნაყიდი საფიცრე ხეების გათლა თითონ ტყეში, მაგრამ მხოლოთ იმ პირობით, რომ ყოველი ხის წვერი გაუთლელათ და თავის ქერქით დასტოვოს ტყეშივე, იმისთვის რომ ლესნიჩი მიხვდეს—რა სისხო ხეებია მოჭრილი. ვინც ამ კანონს არ აასრულებს, იმას გარდახდება მომატებული კიდევ ერთი იმდონი ფასი ტაქსით, რაც გარდუხდია; ამ შემთხვევაში ერთს საჟენზე (სიგრძით) ნაკლები ძელი ითვლება მთელ საჟენათ და ერთს საჟენზე და სამს გოჯზე უგრძესი ხე ითვლება ორ საჟენათ. მოჭრილი ძელის წვერები კი ზომაში არ ჩაერდება.

ფიჭვისა და ნაძვის ტყის აჭრა ყველგან აღკრძალულია, ახალციხისა და აბასტუმანის სალესნიჩოს გარდა.—ვინც ამ გვარ ხეებს მოჭრის, იმას გარდახდება ის ფასი, რა ფასიც მუხის ხეებისთვის არის დადებული.—

სასტიკათ აღკრძალულია მოჭრა და გაფუჭება თუთის ხისა.—

ნახშირის გამოწვა, კუპრის გამოხდა და საზოგადოთ ყოველი მოქმედება, რომელიც უცეცხლოთ არ მოხერხდება, შეიძლება მარტო იმისთანა ადგილებზე, სადაც ცეცხლის გაჩენის შიში არ არის. ერთი ჩეტვერტი (სამკოდ ნახევარი) ნახშირის დაწვისთვის გარდასახადი ხუთი შაურია; ვინც დაუკითხავათ დაწვამს ნახშირს, იმას კი ორი მანეთი გარდახდება ჩეტვერზე.—

ვინც ლესნიჩის შეუტყობინებლათ დანიშნულზე მეტს ტყეს მოჭრის, ის დაუკითხავათ აჭრისათვის კანონის წინაშე პასუხს აგებს; აგრეთვე პასუხს აგებს ის, რომელმაც თუმცა შეატყობინა ტყის ზედამხედველს, მაგრამ რაც ლესნიჩს დაენიშნა, თუ იმის მეათედი მეტი აჭრა. ვინც დანიშნული ტყის მეათედზე ნაკლები მოჭრა და შეატყობინა ლესნიჩს, იმას გარდახდება მხოლოთ მომატებულის ფასი და ახალი ბილეთი მიეცემა. (მუხ. 158, პუნქტი 3, წესდება დასჯაზე,)

---

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სოფლის თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ლესნიჩის დაბარებით, [illegible] პროტოკოლის შედგენაზე, როცა ვინმე ტყის [illegible] დაარღვია, და ხელი მოაწერონ იმას.—ვინც ამას არ აასრულებს, ის კანონის წინაშე პასუხს აგებს.—

## ს ა ქ ო ნ ლ ი ს  ძ ო ვ ე ბ ა.

პირუტყვების ძოვება სახელმწიფო ტყეებში და ველებზე შეიძლება ბილეთით, როცა ბილეთის ფული გადახდილია: ცხვარზე თითო კაპეიკი, ღორზე და სხვა დიდ პირუტყვზე ორ-ორი შაური.

თუ ნება არა აქვს მიცემული და გლეხმა ისე გაუშვა თავისი საქონელი საბალახოთ, მაშინ იმას გარდახდება შტრაფათ ორი იმდენი ფული, რაც ტაქციით დადებულია.

როცა პირუტყვებს შორის გარეკენ და თუ გავლით სახელმწიფო და საეკკლესიო ადგილებზე აძოვეს, ათასში თითო პირუტყვზე ორ-ორი შაური გადახდებათ, გინდ დიდი იყოს, გინდ პატარა.

საცა სათივე ტყის ველები გაქირავებული არ არის, იქ არავის ნება არა აქვს პირუტყვი აძოვოს, და თუ ვინმე ამა ალაგებზე პირუტყვი გაუშვა საძოვრათ, იმას გადახდება შტრაფად ორი იმდენი ფული, რაც ტაქციით დადებულია.

როცა ნახირს მირეკენ, თუ სახელმწიფო ან საეკკლესიო მამულებზე დიდხანს გააჩერეს საძოებლათ, ან თუ აძოვეს იმ ალაგებზე, საცა ტყე არის აშვებული, მაშინ პირველისათვის საბალახო გადახდებათ საქონლის პატრონთა, და მეორესათვის კი საბალახოც გადახდებათ და ამას გარდა რაც ახალი მოზარდი ტყე წაუხდენიათ, იმას ყველას იანგარიშებენ და როგორც გაფუჭებული დაფასდება, იმდენს გადაახდევინებენ. უმწყემსოთ ძოვება აკრძალულია. მენახირეებს ნება არა აქვთ საშეშე ტყის ან ჯაგნარის მოჭრისა პირუტყისათვის, და ვინც მოჭრის, იმას საჟენობით გადახდება ორი იმდენი, რაც ფასი ტაქციით საშეშე ტყისათვის არის დაწესებული და ვინც კარგს საფიცრე ტყეს მოჭრის, იმას თითო ხეზე გადახდება ფასი ერთი ორათ.

ფიჭვნარში ცეცხლის დანთების ნება არავისა აქვს და უბრალო ტყეში არც ხეს ქვეშ შეიძლება ცეცხლის დანთება, და სადაც ცეცხლის დანთების ნება აქვთ მიცემული, იმ ტყეში ხესთან ორ საჟენზე უფრო ახლოს ცეცხლი არ დაინთება.

ცეცხლი გაუქრობლათ არ გადააგდოთ. თუ ვინმე ტყის მცველთაგანმა, ან გლეხთაგანმა ჰნახოს ტყეში ან ველზე დაგდებული ცეცხლი, მაშინვე უნდა დააქროს.

შენიშვნა ანგარიშზე და ტაქციებზე (მუხლ. 594 т. VIII ტყის წესდება).

## არა ოფიციალური ნაწილი.

**დასავლეთის საქართველოს** სამღვდელოება და იმისი კეთილი განზრახვა თავიანთი შვილების გასანათლებლათ.

ახალ ცხოვრებას ახალ-ახალი საჭიროება მოაქვს და ამ საჭიროების კარგათ ცოდნა მოითხოვს სწავლასა. ამიტომაც ასე ხშირათ გვესმის ამბავი სხვა და სხვა სასწავლებელთა დაწესებაზე და შკოლების გახსნაზე. როგორც გინდა ისე გამინჯე ახლანდელი მდგომარეობა, სწავლა საჭიროა და საჭირო. უიმისოთ, როგორც ძველი პირჩამტვრეული სახნისი არ გამოდგება მიწის დასახნელათ, ისე ჩვენ ვერ გამოვდგომილვართ ამ დროში. თვითონ ერიც ამ აზრის არის. იმას არას დროს ასეთი სურვილი არ გამოუჩენია სწავლისათვისა, როგორც ახლა. იმერეთში მაინც ძალიან გულ-მხურვალობას იჩენენ ამ საქმეში. „დროების“ გაზეთში დაბეჭდილი წერილიც ამას ამტკიცებს. იქ სამღვდელოებას გადაუწყვეტია კიდეცა თავისი ღლიური ლუკმიდგან ცოტა რამე გადაანარჩუნონ, რომ ამ საშუალებით რაც შეიძლება რიგიანათ წაიყვანონ თავისი შვილების სწავლება.

---

საზოგადოთ შენიშნულია, რომ იმერეთში ანუ დასავლეთის საქართველოში სწავლის სურვილი სხვა ადგილებზე უფრო მომეტებულია, სწავლის ღონისძიება კი თითქმის ყველა ადგილებზე ნაკლები აქვს. მარტო ერთს ქუთაისის გიმნაზიაში შვიდას ყმაწვილზე მეტია და რომ მეორე გიმნაზიაც იყოს, იმ მეორეშიაც ამაზე მეტი თუ იქნება, თორემ ნაკლები არა. მთელს ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ერთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელია, და არამც თუ ერთი, ოთხი ამისთანა სასწავლებელიც რომ იყოს, ისიც არ იქნება საკმაო. ამის გამო ყოველ ცისმარადის დღეს მოდიან ამა სასწავლებლებში გუნდგუნდათ ყმაწვილები და რომ იქ ტევა აღარ არის, მეტი რა გზა აქვთ, ისევ უკან უნდა გაბრუნდენ ხოლმე და რჩებიან უსწავლელნი.

---

ამისთანა მდგომარეობაში რა სასიამოვნოა იმის გაგონება, რომ იმერეთის სამღვდელოება გულ-მხურვალეთ შესდგომია სწავლის საქმესა. ეს ძალიან შესანიშნავი ამბავია. აქ სამღვდელოება მაგალითს აძლევს საზოგადოებას ყმაწვილების გამოზრდისათვის. სანამდის თვითონ საზოგადოება არ გამოიღებს ხელს თავიანთ შვილების გასანათლებლათ, მანამდის ჩვენი ახალგაზდობის სწავლება ყოველთვის ცუდს მდგომარეობაში იქნება. სწორეთ როგორც კეთილს მწყემსს ერისას შეშვენის, ისე საზოგადოების მოთავეთ გამხდარა იმერეთის სამღვდელოება ამ დიდს საქმეში და ჩვენი თანაგრძნობაც იმათ კვალს მიჰყვება.

---

ამ ორი წლის წინათ რუსეთში გამოიცა ახალი წესდებულება სასულიერო სასწავლებელთა გაუკეთებაზე. წესდება ითხოვს, რომ ყველა სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში სწავლაც უკეთესი იყოს და სასწავლებელთა წესი და რიგიცა. აქამდის სამღვდელოებას ამ საქმეში არა ეკითხებოდა რა; ახალი წესი კი ამბობს, რომ იმათ უნდა ეკითხებოდესთო, ამიტომ რომ თავიანთ შვილებისათვის იმათზე უკეთ ვერავინ ვერ იზრუნებსო. ახალი კანონებით დადებულია, რომ ათი მრევლის ღვდლისაგან ერთი უნდა ამოირჩეს დეპუტატათ და ეს დეპუტატები ორჯერ თუ არა წელიწადში, ერთხელ მაინც უნდა შეგროვდენ იმ ქალაქში, სადაც სასწავლებელი იმყოფება, რომ კარგათ მოიფიქრონ, როგორ და რა ღონისძიება უნდა ამოაჩინონ შკოლების გასამართავათ და იმათ დასაყენებლათ რიგიან გზაზე. ამისთანა წესმა რუსეთის სამღვდელოებას აფიქრებინა, რომ საქმის კარგა წასაყვანათ თუ ჩვენი საკუთარი შემოსავლიდგან არა გამოვიღეთ რა, სხვა ფრით ვერაფრით დავაკმაყოფილებთ ახლანდელის სწავლების გაუკეთესებასაო. რუსეთის სამღვდელოების მაგალითს მიჰყოლია იმერეთის სამღვდელოებაცა. ფრიად კარგი გასაგონია.

---

პირველი კრება იმერეთის სამღვდელოებისა მომხდარა წარსულს წელს. კრებაში მობრძანებულა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელსაც მოკლეთ განუხილავს [illegible] დების მუხლები, უთქვამს, [illegible] უმოქმედებია სამღვდელოება', იმერეთის სამღვდელოების მოვალეობაც უჩვენებია ამა საქმეში და შემდეგ კრებიდგან გასულა. კრებას ამოურჩევია ერთი თავს მჯდომარე და ორი წევრი, რომელთაც სასწავლებელს მუდამ თვალ-ყური უნდა ადევნონ. ბოლოს გადაუწყვეტიათ, რომ თითო ეკკლესიის კრებულმა ყოველ წლობით შემოიტანოს ხ უ თ ი  მ ა ნ ე თ ი  დ ა  შ ვ ი დ ი  შ ა უ რ ი. რადგან იმერეთში სამას სამოცდა თვრამეტი ეკკლესია არის, სულ მთელი შემოსავალი შეადგენს ორას თუმანზე მეტსა; სვანეთის სამღვდელოებასაც გარდაუწყვეტია წელიწადში ხუთ თუმან ნახევრის შემოტანა, ასე რომ სულ ორას ათ თუმანზე მეტი შემდგარა. ამ წელს სეკტემბრის თვეში მეორე კრება მომხდარა და სხვა გონიერ მოთხოვნილებათა შორის კრებას გადაუწყვეტია, რომ თითონ ეკკლესიაზე შარშანდელს ხარჯს გარდა თითო მანეთი კიდევ შეაწერონ; ამის დაგვარათ მოქცეულა სვანეთის და აფხაზეთის სამღვდელოებაცა.

---

როდესაც ეკკლესიის შემოსავალი ამისთანა დიდს სასარგებლო საქმეს ეხმარება, რა კარგი იქნება, რომ, რაც შეიძლება იმას ბევრი ადგილ მამული ჰქონდეს; მაგრამ „დროების“ გაზეთში რო წერილია დაბეჭდილი, იმის სიტყვით, ეკკლესიის ადგილ-მამულებიო სულ კერძო პირებს წაუღ-წამოუღიათ—ასე ამბობენო: ეკკლესიას რათ უნდა ამდენი ადგილ-მამულიო, ჩვენ მოგვეხმარდეს, ეკკლესიისათვის გამოუდეგრათ ყოფნას, ის არა სჯობიაო“. ამ ნაირათ ლაპარაკი ახლანდელს დროში ძალიან უსაფუძვლოა.

უწინდელს დროში, როდესაც ეკკლესიის ადგილ-მამულის შემოსავალი მარტო ბერებს და მღვდლებს ეჭირათ და ესენი ჭამა სმის მეტს არას აკეთებდნენ, მაშინ კიდევ შეიძლებოდა, კაცს ასე ელაპარკნა, მაგრამ ახლა, როდესაც გონიერი სამღვდელოება და კიდევ უგონიერესი ღვდელთ მთავარი ახმარს ეკკლესიის შემოსავალსა ერის განათლებასა, რასაკვირველია ამ ჟამად ყოველი ჩვენთაგანი იმას უნდა ცდილობდეს, რომ ეკკლესიების შემოსავალს ხელი შეუწყოს როგორმე სხვა

...ახვა წყარიებით, გაამდიდროს და არა მტა-...ლობდეს მგელსავით.

---

...ხალი წესდების თანახმათ სასულიერო ...ლებში მიიღებენ ღვდლის შვილებს და ... კაცის შვილებს განურჩეველად. იმერე-... ვლეხობას ისეთი სწავლის სურვილი აქვს, ... შკოლაში შვილის გამოსაზრდელათ თუ ... შეუძლია, არას დაიშურებს. დასავლე-... საქართველოს სამღვდელოებას კრებაში ...ებია ამაზე ლაპარაკი და დაუდვია ყოველ ...ვილზე, რომელიც მღვდლის შვილი არ ..., ხუთი მანეთი; მაგრამ ჩვენის აზრით ეს ...ე ცოტაა; ყმაწვილის გამოზრდისათვის ...ლებული გლეხი მეტსაც გადაიხდის.

---

...ემინარიის გახსნა მიუცილებლათ საჭირო ...აისის გუბერნიაში. დასავლეთის საქართვე-...ა სამღვდელოებას ამჟამად სწავლის კარე-...ითქმის დახშული აქვს თავის შვილები-...ის. მთელს საქართველოში ერთად-ერთი ...ლიერო სემინარია არის და ისიც თბილი-... იმერეთის სამღვდელოებას იმდენი ღო-...ძიება არა აქვს, რომ თავისი შვილები აქ ...ავნოს გამოსაზრდელათ. თუ ვინმე მოი-...ება შეძლებულ მღვდელთაგანი და დიდის ...რებით ჰგზავნის შვილს თბილისის სემი-...აში, ისიც რასაკვირველია ბევრს განსა-...ლშია. ამიტომ რომ დარწმუნებული არ ..., ელირსება კიდევ თუ არა თავისი შვი-... ნახვასა. ჰაია, საჭმელი და თბილისის ...ჩვეველ კედლებში ცხოვრება ძალიან მა-...არღვევს იმერელ ახალ გაზდის სიმრთე-...ა. იმას ეშლება კუჭი, დააწყებინებს ციებ-...ლებას და ჩვეულებრივათ იმისი ბოლო ...დილით თავდება. ამის გამო მეტი არ შე-...ება ისეთი სანატრელია, იმერეთში სემი-...ის დაარსება და სასულიერო შკოლების ...ავლება. ღმერთმან ხელი წარუმართოს ...რეთის სამღვდელოებას ამ კეთილს საქმე-...და ღმერთმან ნუ მოუშალოს მას, რო-...ც კეთილთა მწყემსთა, თავის სამწყსოს ...მძღოლობა ყოველს დიდს საქმეში.

---

## ...სახლო და სამეურნეო ამბები.

— რუსეთიდგან მოსული ამბები გვატყო-...ებენ, რომ წელს რუსეთის გუბერნიებში ...დი ნამუშევრის მოსავალი ყოფილა. ვოლ-...გის პირათ მდებარე გუბერნიებმა ზოგმა მაინც ძალიან კაი ნამუშევრის მოყვანა იცის; აგრეთვე სამხრეთის გუბერნიებშიაც კარგი ნოყიერი მიწაა. მითქმის მარტო ეს გუბერნიები არჩენენ მთელს რუსეთს პურითა და არამც თუ რუსეთსა, საზღვარ გარეთაც ბევრი გააქვთ შავი ზღვით; მაგრამ წელს როგორც იწერებიან, საკუთრათ ამ გუბერნიებში დასდგომია ნამუშევარს ცუდი ამინდი: ზოგგან დაუძრავს და ზოგგან გოლვას წაუხდენია: ამის გამო წელს იარმუკებზე ძალიან ცოტა ნამუშევარი ყოფილა გასასყიდათ და რაც ყოფილა, იმასაც ძრიელ ძვირი ფასი სდებია.

---

— შინაური თეთრი კურდღლების მოშენება ისეთი სასარგებლო გამხდარა, რომ ფრანციაში, ვისაც ცოტა რამე შეძლება აქვს, ყველა ცდილობს იმის მოშენებასა. წელიწადში ორმოცდა ათი მილიონი მანეთის კურდღელი ისყიდება ხოლმე. თითო კურდღელი გადის თოთხმეტ შაურათ და მეტათაც, ასე რომ წელიწადში სამოცდა-ათ მილლიონზე მეტი იკვლება. ფრანციაში ისე კარგათ უვლიან კურდღლებსა, რომ ოთხი თვისა შვიდ გირვანქას-იწონს. კურდღლების სამწყვდევი მიშენებულია სახლებთან იმ გვერდზე საითაც მზე უფრო ადგება. ამ პატარა გომებს ორი საჟენი სიგრძე აქვთ, ერთი არშინი სიგანე და საჟენ ნახევარი სიმაღლე. ეს გომია ან ხისა, ან აგურისა და სამ ეტაჟათ არის გაყოფილი. თითო ეტაჟაც ოთახებათ არის აგრეთვე დაყოფილი; თითო ოთახი სიგძით და სიმაღლით არშინზე ცოტა ნაკლებია. კარები რკინის მართულებით აქვთ გაკეთებული და მართულებს შუა თვლები ისე პატარაა, რომ ვირთაგვა ვერ შეძვრება.

---

შინაურ კურდღლების მოშენებაზე თვალყური კარგათ უჭირავთ. მოსაშენებლათ არჩევენ იმისთანაებსა, რომელნიც კარგი გვარისანი არიან. თუთხმეტ დედალ კურდღელს ერთი მამალი ჰყოფნის. კურდღლები ხურაობენ აპრილიდგან დაწყებული ქრისტეშობის თვემდის. დამაკების შემდეგ ექვს კვირაზე მოიგებს ხოლმე ათს ან თორმეტს კნუტსა; ამათგან ექვსსა ან რვას დაუგდებენ, სხვას გადაჰყრიან. ხუთი კვირის შემდეგ დედალი ისევ დამაკდება ხოლმე; ორ კვირას იქით მოზდილ კნუტებს მოაცლიან დედასა და იმათგან მამლებს ჰკოდავენ: დედალი კურდღელი წელიწადში ოთხჯერ მაკობს. სადგურებს ყოველ დღე უწმენდენ: ძირის ჭერი ცოტა დაცემულია, რომ სისველე არ გაჩნდეს სადგურებში. ჭერზე თივა უგიათ. ზამთრით აჭმევენ ნასუფრალასა, ყოველგვარ ბალახის ძირებსა და ხმელს იონჯასა. ზაფხულში ნედლს ბალახს უყრიან და ბაღის ხეხილის ფოთლებსა. როცა კნუტებს მოაშორებენ დედასა, იმათ აჭმევენ ხოლმე ცოტა შვრიას ან ქერსა. ხუთი თვის კურდღელს ათ დღეზე გაასუქებენ და ამ დროს განმავლობაში აძლევენ მოზელილ ქატოს, შვრიას და ქერსა.

ჩვენშიაც რომ შეუდგებოდენ კურდღლების შენებას ძალიან სასარგებლო რამ იქნება. ჩვენს მეოჯახეს ერთი შინაური ცხოველი კიდევ მოემატება, რომელიც სხვა შინაურ პირუტყვზე უფრო ბევრს სარგებლობას თუ მისცემს, თორემ ნაკლებს არა. იმედი გვაქვს ისეთი უგნური არავინ იქნება ახლა ჩვენში, რომ მიზეზათ ესა თქვას: თეთრი კურდღლის მოშენებას ოჯახში უბედურება მოჰყვება ხოლმეო. ეს სულ ტყუილია.

---

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წერილებში სწერენ, რომ შავი ზღვის მაზრის ჩრდილოით რამდენიმე პირუტყვი გაცოფიანდაო. ცოფი ემართებოდათ ამგვარათ. პირუტყვი ჯერ მოიწყენდა ხოლმე, თითქოს რაღაც დაღონებულიაო. მერე უეცრათ სიგიჟე მოუვლიდა, მწუხარეთ ბღაოდა და ბოლოს სულ ცოფიანდებოდა. ცოფიანი ხარი დარბოდა, რაც კი თვალწინ დაელანდებოდა, ყველაფერს ეჯახებოდა, ფრინველსა და ძაღლებს გამოეკიდებოდა ხოლმე. ცოფიანობის მოსასპობელათ აი როგორ იქცევიან იქაური მცხოვრებლები: ძალიან დაკვირვებით შინჯავენ პირუტყვსა; თუ ენის ქვეშ პატარა ყვითელი მუწუკი უნახეს და იმას გარემო დაწითლებულიცა აქვს, მაშინ მუწუკსა და დაწითლებულს ადგილებს გახურებული რკინით დაუწვამენ ხოლე. ამისთანა მუწუკები კაცებსაც კი გამოაჩნდა და დაუწვეს გახურებული ნემსებითა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ეს საშინელი ავათმყოფობა პირუტყვებს ცოფიანი ნადირისაგან ემართებათო, ამიტომ რომ ისინი ტყე-

ში ბალახებს აცხებენ თავის დორბლსაო და კაცებს პირუტყვებიდგან ედებათო.

თამბაქოს გახმობა. კაი თამბაქოს გასაკეთებლათ კაი მოდგმის თამბაქოს რიგიან დროზე მოკრეფა მარტო არ არის საკმაო; თუ მოკრეფილი თამბაქო კარგათ არ გაახმე, ბუნებითი სიკარგე და რიგიანი მოვლა ვერას უშველის, დალპება და სულ წახდება. სხვა და სხვა ალაგას სულ სხვა ნაირათ ახმობენ თამბაქოსა, იმის გახმობა ჰავაზედაც ჰკიდია; ჩრდილოეთის ფრანციაში, თითონ ყანებშივე დაჰკრეფენ ღერებზე ფოთლებსა და კირწებით შიაბმენ ხოლმე წვრილ თოკებზე, ისე რომ ფოთოლი ფოთოლზე მოშორებით არის და არასოდეს ერთი მეორეს არ ხვდება. მერე ამ ფოთლებს გაჰკიდებენ ხოლმე ჩალურში ან ფანჩატურში, რომ წვიმა არ მოხვდეს. სამხრეთის ფრანციაში სულ ღერიანა მოსთხრიან ხოლმე თამბაქოს და ღერიანა ახმობენ. ამ შემთხვევაში, რადგანაც ღერში დიდხანს ჩერდება სისველე, ამისთვის თამბაქოს ფოთლები ისე უცბათ არ ხმება და კარგიც გამოდის. მაგრამ ამ რიგათ გახმობა მაინც ვერ არის მოხერხებული, ამიტომ რომ გახმობას ბევრი დრო სჭირდება და იმათ დასაკიდებლათ ადგილიც ვერ გამოურჩევია კაცსა. ამისათვის ფრანციაში მოიგონეს თამბაქოს ჩქარი გახმობა. აი, როგორ ახმობენ. თამბაქოს ფოთლებს გაჰკიდებენ ხოლმე საბრძელში და აცლიან, რომ ცოტათ მაინც გაშრეს. მერე საბძელში ძირს ბზეს დაჰყრიან და ჯერ ნახევარს მოუკიდებენ ცეცხლსა, რომ აბოლდეს და ალი არ ავარდეს. როცა ნახევარი დაიწვის, გაალებენ კარებს და სარკმელებს კომლის გასადენათ და მეორე ნახევარს აბოლებენ. ცხელი კომლი შეუდგება თამბაქოს ფოთლებს და მალე გაახმობს. შესანიშნავი ეს არის, რომ კომლის სუნი არ ეძლევა თამბაქოსა. ამას გარდა კომლი კიდევ იმითი უხდება იმასა, რომ ფოთლებში გაჩენილს ობს აქრობს.

---

## შინაგანი ცნობები.

ზოგიერთი კახეთის მემამულეებისაგან გავიგონეთ, რომ ღვინის მოსავალი წელს საზოგადოთ შარშანდელზე ნაკლები არ არის. ერთმა იმათთაგანმა გვითხრა, რომ შარშან ხუთი ურმის მეტი არ მომსვლიაო და წელს კი ათი ურემი მომივიდა და, სეტყვას რომ არ გაეფუჭებია, ორი ამდონის იმედი მქონდაო.—მაშა სადამე, იმედია, რომ ღვინო მეორე მოსავლამდინ ეხლანდელზე მეტს ფასს არ დაიჭერს.—

სხვა ამბავი შევიტყეთ კახეთიდგან, რომ პურის მოსავალი ცუდია, როგორც ალაზან გამოღმა, აგრეთვე გაღმა მხარშიაც. სიღნაღის უეზდში პური ფასობს მანეთათა და, რადგან არც იპოება, სხვა ადგილებიდგან მიაქვთ. ფვინის მოსავალი ზოგან ნაკლები მოვიდა ვაზების დასეტყვისა გამო. ქიზიყში კი (სიღნაღის უეზდში) უფრო რიგიანია. სიღნაღის უეზდის სოფლებში: ტიბაანში, მირზაანში, ჯუგაანში და ოზაანში კი, როგორც ამბობენ, ღვინო ძალიან კარგათ და კარგიც მოსულა, ასე რომ ქვევრებიც ვერ უშოვიათ ჩასასხმელათ.—საფერავიც წრეულს ძალიან კარგი ყოფილა და ამისგამო უეჭველია წითელი ღვინო ბევრი შემოვა ქალაქში.—საპალნე კარგი ღვინისა ისყიდება სიღნაღში 5 თუმნიდან 10 მდინ.—

---

რუსული გაზეთი სახელათ „უწყება" (Вѣсть) გვაცნობებს, რომ ისმისო ვითომც პეტერბურღში დგება ისეთი ამხანაგობა, რომელსაც ჰსურს იყიდოს ხოლმე მკვდარი საქონლის ნაშთი, მაგალითად რქები, ჩლიქები, ხორცეულობა, რომელიც არ გასაღდება. ტყავი და სხვა ამ გვარი დანაშთენი, რომელიც ან სულ ოხმარია და ან თითქმის უფასოთ გადის. ამხანაგობა შეამუშავებს ამ მასალას სხვა და სხვა ფრათ და ისევ გაჰყიდის.

ნოვოროსიისკიდან იწერებიან „ნიკოლაევის მოამბეში", 8 სეკტემბერს: ყუბანის მაზრაში ისე კარგი მოსავალია პურისა, რომ ანაპაში მიიტანეს იქიდან გასასყიდლათ 3 ათასი ჩეტვერტი ხორბალი და თანდათან კიდევ ზიდავენ, ასე რომ წელს იქ 30 ათასი ჩეტვერტი მაინც მიიზიდება, თუ ხეირიანი ტაროსი იქნა. მაგრამ მყიდველები, ანაპიისა და ნოვოროსსიისკის ვაჭრების გარდა, არავინ არ არის, ასე რომ პური იაფათ გადის: ჩეტვერტი (სამკოდ ნახევრამდინ) პირველში 8 მანეთათ და 50 კაპეიკათ ვადიოდა და ახლა 7 მან. და 50 კაპ.—

ტფილისსა და ფოთს შუა რკინის გზის მუშაობაზე გაზ. „Кавказъ"ში სწერენ შემდეგს: მიწის მუშაობა, აგრეთვე სურამის მთის გასწორება და იქაური კლდეების დამტვრევა ძალიან მარჯვეთ მიდის. რკინის ხიდების ნაწილები დიდი ხანია ამოტანილი არიან ფოთში; თაც თავის ადგილზე მიიტანებენ იმათ მერმის ზაფხულში. თითონ რკინის ხიდები, როგორც ამბობენ, მერმის ნოემბერში მზათ იქნებიან. ამის შემდეგ ხვინჭას მოაყრიან გზაზე და ზედ რელსებს დაალაგებენ; ამას მოუნდება სულ ექვსი თვე, ასე რომ რკინის გზა ტფილისიდან ფოთამდი 1871 წლამდინ არ გაიმართება.—სტანციებისთვის მასალები ზოგან მზათ არის, მაგრამ იმათ შენებას ჯერ არსად არ შესდგომიან.—

---

## ნეტარ არს კაცი.

ნეტარ არს კაცი, რომელსაც გული
არა ჰქონია მუდამ დახშული,
და ერთხელ მაინც გულისა ნება
სრულათ ჰქონია მას გამოთქმული.

—

ნეტარ არს კაცი, რომელიც სოფელს
და მის ტალღას არ შეპუებია;
თავისსა მტერსა და დაუნდობელს
მეგობრულათა შეგებებია.

—

ნეტარ არს კაცი, რომელს სიმდიდრით
სავსე ზანდუკი არ ჰქონებია;
მაგრამ რაც ჰქონდა, კმაყოფილებით
იმითი მაინც უცხოვრებია.

—

ნეტარ არს კაცი, ის ვინც შავ თვალებს
და მის ისარს არ შემსჭვალებია,
ვინც იმის ღელვას არ დაკანკალებს
და მისი შხამიც არ ჰგემებია,

—

ნეტარ არს კაცი, რომელსაც მარად
თავის სამშობლო შეჰყვარებია,
მისსა სანაცლოდ და მის საჩუქრათ
თავის სიცოცხლე არ ჰზარებია.

—

მაგრამ ნეტარ არს კაცი ის უფრო,
ვინც თავისს ბედს არ გაჩერებია:
სანამ მის გულში სევდას გაევლო,
მანამ ამ სოფელს მოშორებია!...

ვ. ჭალადიდელი.

1869 წ. 14 აგვისტოს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го октября 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.